92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

92 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №13-14 (7137) 8 ივლისი, 2025 წელი

დედის ლოცვა

28 ივნისი ერთ-ერთ გამორჩეულ დღედ შევა თერჯოლის მუნიციპალიტეტის უახლოეს ისტორიაში. ამ დღეს, მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარში გაიხსნა ძეგლი „დედის ლოცვა“. ძეგლის გახსნას იმერეთის მუნიციპალიტეტების და მეზობელი მეგობარი ქვეყნებიდან მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. ძეგლის შექმნის იდეა ადგილობრივ ბიზნესმენ იორამ აბულაძეს ეკუთვნის, ხოლო მისი ავტორი მოქანდაკე გიორგი კიკვაძეა.

ძეგლის გახსნის შემდეგ, სოფლის ცენტრში გაიმართა მხატვრული ღონისძიება, რომელშიც ადგილობრივი შემოქმედებითი ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები მონაწილეობდნენ. ღონისძიებები მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით და ააიპების ჩართულობით მოეწყო.

დაწვრილებით „თერჯოლის“ სპეციალურ გამოშვებაში.

საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2025“

თეატრალური ფესტივალის გრანპრი თერჯოლის სახალხო თეატრმა მოიპოვა! ვულოცავთ!

☞2

კუბლაშვილების გვარის მორიგი გაბრწყინება, ამჯერად მსოფლიო მათემატიკურ ორბიტაზე! ☞8

„ვირჩევ პროფესიას“

პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება ☞3,6,7

თერჯოლის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის ☞5

საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2025“

თეატრალური ფესტივალის გრანპრი თერჯოლის სახალხო თეატრმა მოიპოვა! ვულოცავთ!

საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2025“ ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში 18 ივნისს გაიხსნა.

ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს სიტყვით მიმართეს: იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ გრიგოლ დალაქიშვილმა, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ერემეიშვილმა და იმერეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ ლევან როხვაძემ.

ფესტივალის მე-16 სეზონი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში რეზო კლდიაშვილის

სპექტაკლით „იმერული რექვიემი” გაიხსნა.

ფესტივალში იმერეთის თორმეტივე მუნიციპალიტეტის პროფესიულმა და სახალხო თეატრებმა მიიღეს მონაწილეობა. წლევანდელ ფესტივალს აზერბაიჯანისა და იტალიის თეატრებიც შეუერთდნენ.

ფესტივალს სტუმრის სტატუსით ეწვია რუსთაველის ეროვნული თეატრი სპექტაკლით „მილიონერი ნაპოლი“.

წელს, საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, რეგიონის პროფესიული და სახალხო თეატრების მიერ 18 სპექტაკლი იქნა წარმოდგენილი. ასევე სტუმრის სტატუსით სპექტაკლი წარმოადგინა აზერბაიჯანის კახის რაიონის ქართულმა დრამატულმა თეატრებმა.

22 ივნისს, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე, ფესტივალის პროგრამით თერჯოლის სახალხო თეატრმა მაყურებელს იასმინა რეზას „ომის ღმერთი“ წარუდგინა.

სპექტაკლმა დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. თანამედროვე ოჯახის პრობლემები, ურთიერთობები, დაპირისპირება, ირონია და სხვა მნიშვნელოვანი თემები ერთ სცენაზე გაერთიანდა.

წარმოდგენას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი მაკა ასათიანი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თეატრალური ფესტივალი იმერეთში მეთექვსმეტედ გაიმართა და მისი ორგანიზატორები არიან: საქართველოს კულტურის სამინისტრო, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, ქუთაისის მერია, საქართველოს თეატრალური საზოგადოება და იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტები.

ქუთაისის მე-6 საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2025“ 2 ივლისს საზეიმოდ დაიხურა

2 ივლისს, საღამოს ვიდრე ნომინანტები დასახელდებოდნენ, თეატრის ფოიეში გაიმართა ჟურნალ „თეატრალური იმერეთის“ მორიგი ნომრის პრეზენტაცია, შემდეგ კი ფესტივალის მე-16 სეზონი, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახ. სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში დასრულდა ჭიათურის თეატრის სპექტაკლით „ცხოვრება თამაშია“.

სპექტაკლის შემდეგ მაყურებელთა ოვაციების ფონზე, იმერეთში, სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ მამუკა ხიმშიაშვილმა, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შენგელიამ, კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლებმა სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები დააჯილდოვეს.

ნომინაციაში „საუკეთესო სპექტაკლი“, გამარჯვებულად დასახელდა თერჯოლის სახალხო თეატრის სპექტაკლი „ომის ღმერთი”. რეჟისორი მამუკა ცერცვაძე.

☞8

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში

გასულ თვეში, სამხარეო ადმინისტრაციაში, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის, ლევან ზალკალიანის ხელმძღვანელობით, ორი მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა ჩვენი მოქალაქეებისათვის მეტად აქტუალურ თემებზე. შეხვედრას ესწრებოდნენ იმერეთის მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა 2025 წლის ბოლომდე გრძელდება...

ამ მნიშვნელოვანი რეფორმის გამოწვევებზე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ზალკალიანმა შეხვედრაზე იმსჯელა რეგიონში მიწის სისტემური რეგისტრაციის მიმდინარეობაზე და სამუშაო პროცესში არსებულ გამოწვევებზე. სააგენტოს თავმჯდომარემ დავით დევიძემ კი ყურადღება გაამახვილა რეფორმის შედეგებსა და დაგეგმილ აქტივობებზე.

რეგიონში მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის საველე სამუშაოები დასკვნით ფაზაშია, ეტაპობრივად აიზომება ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი ყველა სოფელი.

ქვეყნის მასშტაბით 2022 წლიდან დღემდე აიზომა 1 800 000 -ზე მეტი მიწის ნაკვეთი. საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 1 300 000-ზე მეტ მიწის ნაკვეთზე.

მთავრობის გადაწყვეტილებით, მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა 2025 წლის ბოლომდე გრძელდება.

სამუშაო შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე მამუკა ხიმშიაშვილი, ასევე იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტის მერი და სააგენტოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მოქალაქეებს, რომლებიც დროულად ვერ ჩაერთნენ რეფორმაში, შესაძლებლობა აქვთ იუსტიციის სახლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში ან ვებპორტალზე slr.napr.gov.ge შეავსონ მიწის ნაკვეთის აზომვის მოთხოვნის განაცხადი. საჯარო რეესტრის ამგეგმავთა ჯგუფები თითოეულ მოქალაქეს რეფორმის დასრულებამდე დაუკავშირდებიან და გაუწევენ შესაბამის მომსახურებას.

მოთხოვნა—ინფრასტრუქტურული პროექტები დაგეგმილ ვადებში და მაღალი ხარისხით უნდა შესრულდეს

საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრმა კახაბერ გულედანმა და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ზალკალიანმა, რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილეს.

შეხვედრაზე, რომელსაც მხარის მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები ესწრებოდნენ, ხაზი გაესვა დაგეგმილი პროექტების ვადებში და ხარისხიანად შესრულების აუცილებლობას. ასევე, ყურადღება დაეთმო რეგიონში არსებულ სოციალურ პროგრამებს და იმ პროექტებს, რომლებიც სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობის მიმართულებით ხორციელდება.

შეხვედრაზე იმსჯელეს რეგიონში არსებულ გამოწვევებზე, მოსახლეობის საჭიროებებზე და მათი გადაჭრის გზებზე. ასევე მოისმინეს ინფორმაცია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ.

შეხვედრას რეგიონული განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე ლევან ზაუტაშვილი და სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები: მამუკა ხიმშიაშვილი და ბესიკ გოფოძე ესწრებოდნენ.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

დაზარალებული ოჯახი ახალმოსახლეობას მალე აღნიშნავს...

სოფელ ბარდუბანში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძესა და საკრებულოში სოფლის დეპუტატ გოჩა ვერულაშვილთან ერთად, სტიქიის შედეგად დაზარალებული დავით მარგველაშვილის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნო.

მშენებლობის ძირითადი ნაწილი უკვე დასრულებულია. ამ ეტაპზე, გადახურვის პროცესი მიმდინარეობს.

სამშენებლო სამუშაოებისთვის თანხა სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოიყო. სამუშაოების ღირებულება 44 800 ლარს შეადგენს.

სტარტზეა საქართველოს ჩემპიონატი მინი ფეხბურთში...

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ინიციატივითა და თითოეული მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, 2025 წლის 9 ივნისიდან 2 აგვისტომდე, საქართველოს ყველა რეგიონში ტარდება მინი ფეხბურთის ჩემპიონატი, რომელიც ხორციელდება კამპანიის „არა ნარკოტიკს“ ფარგლებში.

ჩემპიონატის მთავარი მიზანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სპორტის საშუალებით ნარკოტიკებზე უარის თქმის წახალისება.

ჩემპიონატი ტარდება ოლიმპიური სისტემით. გუნდები იასპარეზებენ როგორც მუნიციპალურ, ისე რეგიონულ დონეზე. მონაწილეობის უფლება აქვთ ახალგაზრდებს 18 წლის ასაკიდან.

ტურნირის ეტაპები:

I ეტაპი – მუნიციპალიტეტების ჩემპიონების გამოვლენა;

II ეტაპი– მუნიციპალიტეტების გამარჯვებული გუნდები იასპარეზებენ რეგიონულ პირველობაზე;

ფინალური ეტაპი – თითოეული რეგიონის გამარჯვებული გუნდი მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ჩემპიონატში.

გიწვევთ, გაატარეთ ზაფხული აქტიურად და ჯანსაღად!

ტურნირის მიმდინარეობაზე ჩვენს მომავალ ნომერში.

მისაბაძი მაგალითი

ძევრელებმა არაერთხელ გაგვახარეს მისაბაძი მაგალითებით. ამჯერად მათ ძევრულას ხეობაში „ამოტეხილთან“ გარემო მოაწესრიგეს, რომ ცხელ ზაფხულში ათასობით სტუმარ-მასპინძელს ლამაზად დახვდეს ეს გამორჩეულად საყვარელი ადგილი.

აი ისინიც, ვინც ამ საქმეში აქტიურად იყო ჩართული: JSB ოპერატორი ნოდარ მექვაბიძე, გულიანი ძევრელი ბიჭები ტატო, ავთო, ვოვა, თაზუნა, მეფო, სერგი ჯიხვაშვილი, რა თქმა უნდა ჭანჭიკელა და ილო.

წარმატებები თქვენ!

უფასო აქცია დიაბეტიანთათვის

თერჯოლის მუნიციპალიტეტში შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტების უფასო კონსულტაციები ჩატარდა.

პაციენტებს კონსულტაციები ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის ექიმებმა ჩაუტარეს. აქციის ფარგლებში ბენეფიციარებმა მიიღეს შემდეგი მომსახურება:

-საერთო ქოლესტერინის განსაზღვრა;

- გლუკოზის განსაზღვრა სისხლში;

-შარდმჟავის განსაზღვრა სისხლში;

-ჰემოგლობინის განსაზღვრა სისხლში;

-ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპიური კვლევა;

სამედიცინო აქცია მუნიციპალიტეტის მერიის, უნგრული ფარმაცევტული კომპანია „ეგისის” მხარდაჭერით და სოციალური სამსახურის ორგანიზებით მოეწყო, აღნიშნული აქციის მიზანი კი მოქალაქეებზე ზრუნვა, დაავადების დროული პრევენცია და მკურნალობის ხელშეწყობაა.

„ვირჩევ პროფესიას“

პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება

24 ივნისს, თერჯოლაში საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, პროექტის „ვირჩევ პროფესიას“ დასკვნითი ღონისძიება ჩატარდა.ღონისძიებაში მუნიციპალიტეტის 25 სკოლა მონაწილეობდა, რომლებსაც წარმოდგენილი ჰქონდათ საქართველოში ყველაზე გავრცელებული პროფესიები. ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე დაესწრო, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად. ☞6,7

ოლიმპიზმის საერთაშორისო დღე თერჯოლაში

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ოლიმპიზმის საერთაშორისო დღე მრავალფეროვანი სპორტული ღონისძიებებით აღინიშნა. ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მოეწყო მძლეოსნური გარბენი. ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში ჩატარდა ტურნირები—მკლავჭიდში, შაშსა და ნარდში. ღონისძიებას ესწრებოდა საპატიო სტუმარი, ოლიმპიური ჩემპიონი, პარამკლავჭიდელი ვახტანგ ახობაძე.

ოლიმპიზმის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებების დასასრულს გაიმართა გამარჯვებული სპორტსმენების დაჯილდოება.

ოლიმპიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი, მერის მოადგილე ზვიად ბაზაძე, საკრებულოს დეპუტატები, მერიის და ა(ა)იპების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიებები, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის, ა(ა)იპების, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარდა.

კარგი ტრადიცია...

ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი ქალბატონი ნათია აბულაძე სკოლის ფეისბუქ გვერდზე წერს:

„მოსწავლეთა დალოცვის ტრადიცია გასულ წელს დავიწყეთ და წელს წმინდა ნინოს ხსენების და ბავშთა დაცვის დღეს დავამთხვიეთ.

2025 წლის კურსდამთავრებულებთან ერთად, ქვედა სიმონეთის დედათა მონასტერში, მათთვის მიძღვნილ დალოცვის წირვას დავესწარით.

დიდი მადლობა მამაო ექვთიმე და დედაო ნატალია, თქვენგან მოძღვნილი საჩუქრები დაუვიწყარი დარჩება ახალგაზრდებისთვის.

დალოცვილი იყოს ჩვენი კურსდამთავრებულები და მათი მომავალი, სრულიად სამყაროს ყველა ბავშვთან ერთად“.

გიწვევთ!

ლეგენდარული ჯგუფი BONEY EM თერჯოლაში!

თერჯოლის მერიის მიმდებარე ტერიტორია

26 ივლისი, 19:00 საათი!

კონცერტის ფინანსური მხარდამჭერები არიან ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ჩვენი გაზეთი ტრადიციულად აშუქებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობას, მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიების და დეპუტატების მუშაობას, საკრებულოს სხდომების მიმდინარეობას და მოსახლეობას სისტემატურად აწვდის ინფორმაციებს სხდომებზე განხილული საკითხების შესახებ.

მოხდა ისე, რომ ჯერ კიდევ, გასული თვის 23 მაისს, ჩატარდა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელიც ჩვენ არ გაგვიშუქებია. აღნიშნულის გამო დღევანდელ „თერჯოლაში“, საკრებულოს მორიგი 4 ივნისის სხდომის ინფორმაციასთან ერთად, მკითხველს ვთავაზობთ ინფორმაციას მაისის თვეში ჩატარებული საკრებულოს რიგგარეშე სხდომის შესახებ.

2025 წლის 4 ივნისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს და მხარი დაუჭირეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის - თემურ ქოჩიაშვილისა და ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის - ბადრი ბუცხრიკიძის მიერ წარმოდგენილ საკითხებს:

კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილმა დეპუტატებს წარუდგინა ორი საკითხი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28251533, 02.06.2025 წ.);

2. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ“ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28251534, 02.06.2025 წ.).

დეპუტატებს ასევე ორი საკითხი წარუდგინა კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრკიძემ:

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109-ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.45.949) არსებული 27.18 კვ.მ. და 13.32 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს მოქ. მ.ჯ.-ს) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282515380, 02.06.2025 წ);

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 5 მარტის №გ-29.250643 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282512515381, 02.06.2025 წ.).

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

აღნიშნულ საკითხებზე საკრებულოს სხდომამდე, იმსჯელეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-სა და ბიუროს სხდომებზე.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დეპუტატების შეკითხვებს კომისიის თავმჯდომარეებმა უპასუხეს.

სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი - მანუჩარ რობაქიძე და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

2025 წლის 23 მაისს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რიგგარეშე სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს და მხარი დაუჭირეს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის - ბიძინა ბუცხრიკიძის მიერ წარმოდგენილ საკითხებს.

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ;

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

3. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

4. ქ.თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის, სამუსიკო სკოლის (ს/კ 33.09.36.202) ეზოში ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ.

აღნიშნულ საკითხებზე საკრებულოს სხდომამდე, იურიდიულ საკითხთა კომისიის და ბიუროს სხდომებზე იმსჯელეს.

საკითხების წარმოდგენის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დეპუტატების შეკითხვებს კომისიის თავმჯდომარემ უპასუხა.

2025 წლის 2 ივლისს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს და მხარი დაუჭირეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თემურ ქოჩიაშვილის, ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბადრი ბუცხრიკიძის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შალვა ჭანკვეტაძის და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარისბიძინა ბუცხრიკიძე მიერ წარმოდგენილ საკითხებს.

აღნიშნულ საკითხებზე საკრებულოს სხდომამდე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის, ჯანდაცვისა, სოციალურ საკითხთა კომისიის, იურიდიულ საკითხთა კომისიის, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-სა და ბიუროს სხდომებზე იმსჯელეს.

საკითხების წარმოდგენის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დეპუტატების შეკითხვებს კომისიის თავმჯდომარეებმა უპასუხეს.

სხდომაზე სულ განიხილეს 8 საკითხი, აქედან ხუთი საკითხი ეხებოდა ტერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სხვადასხვა დროს მიღებულ განკარგულებებში ცვლილებების შეტანას.

რაც შეეხება დანარჩენ სამ საკითხს, ეს საკითხებია:

— თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს“ გადაეცეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შემდეგი ქონება: ა) ს/კ 33.15.33.084 - სოფელი ჩხარი - 1199 მ2 არასაცხოვრებელი ფართი; ბ) ს/კ 33.10.37.544.01.501 - სოფელი ღვანკითი - 37 მ2 არასაცხოვრებელი ფართი; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282518162 წერილი, 30.06.2025 წ);

— თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, ოთხი ძმის ქ. N13 -ში მდებარე 2932 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1188.13 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს.კ.33.09.39.206 - საბავშვო ბაღი), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადაეცეს ა(ა)იპ თერჯოლის სკოლანდელი აღზრდის მუნიციპალურ ცენტრს; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282518126 წერილი, 30.06.2025 წ);

— თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 დეკემბრის N 22 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, მერის წარმომადგენელი საკრებულოსა და დეპუტატის ბიუროში სოსო ჩაფიჩაძე და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ПРИОРИТЕТИ

თერჯოლის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის

გასულ თვეში თერჯოლის მუნიციპალიტეტს საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელობა თანმხლებ პირებთან ერთად ესტუმრა. სტუმრებმა მუნიციპალიტეტის მერთან, მანუჩარ რობაქიძესთან ერთად დაათვალიერეს ფაქტიურად ყველა მიმდინარე სამუშაოები ქალაქ თერჯოლასა და მის ორ სოფელში—რუფოთისა და ტელეფაში.

კომპანიის ხელმძღვანელობის განცხადებით ანალოგიური სამუშაოები მიმდინარეობს მეზობელ ორ რაიონში—ტყიბულსა და ზესტაფონში.

„სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, სამივე რაიონში ჯამში - 41 400 ბენეფიციარი 24 საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს. სამივე პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და ჯამური ღირებულება 44 მილიონ ლარზე მეტია“—აღნიშნა დავით კვინიკაძემ.

ზოგი რამ თერჯოლის რაიონის უახლესი ისტორიიდან

ჩემს მეხსიერებაში ცოცხალ კადრებად დღემდეა აღბეჭდილი თუ როგორ ეზიდებოდნენ ხარ-ურმებით ჩემი სოფლის გლეხები, ელექტროფიცირებისთვის საჭირო, სპეციალური ხსნარით გაჟღენთილ ხის ბოძებს, სოფელ სვირის რკინიგზის სადგურიდან. კარგად მახსოვს სოფელში პირველი ნათურის ანთებაც.

ისტორიისათვის მას შემდეგ არც თუ ისე ბევრი დროა გასული. თერჯოლის რაიონში 60-იან წლებში, ტელევიზიაც შემოვიდა. წლების შემდეგ კი მოთხოვნა უკვე თერჯოლის ცენტრალურ წყალმომარაგებასა და წყალანირებაზე გაჩნდა. სოფლებშიც დაიწყო წყალმომარაგების სისტემების შექმნა.

რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით ყველაზე მთავარი მოვლენა იყო მაშინდელი რაიონული ცენტრის, თერჯოლის წყალმომარაგება და წყალარინების სისტემის მოწყობა, რომლის ისტორია 1970 წლიდან იწყება, როცა სოფელ სიქთარვაში, თერჯოლიდან 4 კილომეტრში, მდინარე ძევრულას მარცხენა მხარეს, ძევრულასა და მდინარე ჩოლაბურის ბუნებრივი ფილტრატის ზონაში გაკეთდა სათავე ნაგებობა მძლავრი წყალსაქაჩი ტუმბოებით, რომლებითაც სასმელი წყალი მიეწოდებოდა „საპოვნელას“ 2000 და 500 ტონიან ორ რეზერვუარს. იქიდან კი თვითდინებით ხდებოდა და ხდება თერჯოლის მოსახლეობისა და ორგანიზაცია-დაწესებულებების წყალმომარაგება. ხაზგასასმელია, რომ თერჯოლის გარკვეულ ნაწილს წყალი ასევე მიეწოდებოდა სოფელ ალისუბნიდან.



ჩვენ საშუალება გვქონდა გავსაუბრებოდით ბატონ ალეკო ქოჩიაშვილს—პიროვნებას, რომელიც 80-იან წლებში ხელმძღვანელობდა თერჯოლის წყალკანალმეურნეობის სამმართველოს.

მან გვითხრა:

„ჩვენი სამმართველო მაშინ დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული იყო რაიონული ქვემდებარებით. იმ დროს თერჯოლის წყალმომარაგების ქსელი უკვე ფუნქციონირებდა, თუმც წყლის მიწოდება ხდებოდა გრაფიკით. აქვე აღვნიშნავ, რომ წყალი ამ ქსელით სოფელ სიქთარვასაც მიეწოდებოდა. წყალსადენით ასევე სარგებლობდნენ წარმოება-დაწესებულებებიც. მაგალითად, მეტლახის ქარხანა, ლიმონათის ჩამოსასხმელი საამქრო და სხვა. ბუნებრივია წლების მანძილზე ქალაქის განვითარებასთან ერთად, წყალზე მოთხოვნაც გაიზარდა. შეიქმნა მიწოდების დეფიციტი და რაიონის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება რომ არსებული მთავარი მაგისტრალური 300 მმ-იანი მილი შეეცვალა 355 მმ-იანი მილით 5 კილომეტრიან მონაკვეთზე (სათავე ნაგებობა—საპოვნელა). ეს უკვე 1987-88 წლებში მოხდა. ამ ტექნიკური გადაწყვეტით მოგვეცა საშუალება, რომ თერჯოლის მოსახლეობა გამოგვეყვანა მძიმე საგრაფიკო მომსახურებიდან და ოთხსაათიანი წყალმომარაგებიდან გადავედით რვა საათიან წყალმომარაგებაზე“.

იმ ამბების შემდეგ, რაც ჩვენ ბატონმა ალეკომ გვიამბო, ათეულობით წელზე მეტი გავიდა. დროთა განმავლობაში თანდათანობით ვითარდებოდა თერჯოლის წყალმომარაგების ქსელიც.

გვესაუბრება ელისო ქოჩიაშვილი, თერჯოლის სერვისცენტრის მენეჯერი.

„ორგანიზაცია, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ „საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის“ სტრუქტურული ქვედანაყოფია. ამ წლების განმავლობაში ჩვენ კარგად ვგრძნობდით კომპანიის ხელმძღვანელობის თანადგომას, რაც თერჯოლისათვის მხოლოდ სასარგებლო გადაწყვეტილებებში გამოიხატა არაერთგზის.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, მათი ასეთი თანადგომა ჩვენს ფიქსირებულ მაჩვენებლებშიც გამოიხატება.

უპირველესად ვიტყვით, რომ დღეის მდგომარეობით ჩვენი მომსახურებით სარგებლობს 2500 აბონენტი და 300 ორგანიზაცია-დაწესებულება, რომლებსაც 24 საათის განმავლობაში მიეწოდებათ სასმელი წყალი.

საგრძნობლად გავაუმჯობესეთ გახარჯული წყლის ღირებულების ამოღებაც. პრაქტიკულად ერთეულებია ისინი, ვინც ვერ ან არ იხდიან და ამოღება 100%-ს უტოლდება.

გარკვეულ ღონისძიებებს ვატარებთ, რომ არ მოხდეს წყლის აღურიცხავი ხარჯვა, რომელიც სამწუხაროდ იშვიათად, მაგრამ მაინც გვაქვს...

განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ გვაქვს მიწოდებაში სხვადასხვა მიზეზთა გამო გამოწვეული დანაკარგები, რაც ჩვენი საავარიო ბრიგადის დაუყოვნებლივი რეაგირების ქვეშ ექცევა. მათი, კერძოდ კი ჩვენი თანამშრომლების: როსტომ ლილუაშვილის, მურად ბუცხრიკიძის, მურმან დოლაკიძის, კახა სარდანაძის, უშანგი მაკარიძის, იონა კირკიტაძის და ტექნიკური ჯგუფის უფროსის გიორგი რობაქიძის თავდაუზოგავი შრომით არ გვქონია შემთხვევა, რომ რომელიმე დაზიანების გამო, საათობით და დღეების განმავლობაში შეგვეწყვიტა წყლის მიწოდება რომელიმე აბონენტისათვის. იმედი ჰქონდეთ მათ, რომ მომავალშიც ასე გავაგრძელებთ. თუმც, იმასაც ვითხოვთ, ზუსტად დაიცვან წყალმომარაგების ვალდებულება, არ დაუშვან უმიზეზო ხარჯები, შიგა ქსელის უნებართვო გადაკეთებები და მოხმარებული წყლის ღირებულების გადაუხდელობა.

სამომავლოდ იმედებიც იმედიანი გვაქვს. საზოგადოება მეტ-ნაკლებად უკვე ინფორმირებულია თერჯოლაში „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების“ კომპანიის ხელმძღვანელების სტუმრობით, რომლებმაც თერჯოლაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად.

ამ ეტაპზე, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგება, თერჯოლის ორ სოფელში, ტელეფასა და რუფოთში წყალმომარაგების ქსელის ახალი მშენებლობას აწარმოებს. ქალაქ თერჯოლაშიც სამივე ლოკალიზაციაზე სამიშაოებს ტენდერში გამარჯვებულია შპს „ექსპრესსერვისი 2008“ ასრულებს. ეწყობა ახალი სათავე ნაგებობა, ასევე რეზერვუარი. მიმდინარეობს ამორტიზებული ქსელების ამოცვლა. კორპუსების გამრიცხველიანება.

თერჯოლამ და თერჯოლელებმა იციან როგორ წყალმომარაგებას ანხორციელებს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, ასევე ვპირდებით ტელეფა-რუფოთის მცხოვრებლებს, რომ მათ ექნებათ უსაფრთხო, საიმედო და სტაბილური წყალმომარაგება პროექტის დასრულების შემდეგ“.

ფაქტია, რომ ამ ეტაპზე უდაოდ დიდი საქმე კეთდება თერჯოლასა და მის ორ სოფელში წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის.

რაც შეეხება თერჯოლის წყალარინების სისტემას. ეს სისტემა ამჟამად მოიცავს მხოლოდ ქალაქის ცენტრალურ ნაწილს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ქსელით სრულად არ არის მოცული ქალაქის მთელი ტერიტორია. ამასთან, არსებული ქსელი უკვე ამორტიზებულია და ხშირად იქმნება ავარიული სიტუაციები, აქტიურად დგას საკითხი ქალაქ თერჯოლის ერთიანი წყალარინების სისტემის მშენებლობის შესახებ, რაც მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოების ჩატარებას და შესაბამისად დიდ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს. ამდენად-,ეს საკითხი ცენტრალური ხელისუფლების მეშვეობით უნდა გადაწყდეს. საკითხი განხილვაშია. იმედია, მალე გადაწყდება და ამ პროექტის განხორციელება თერჯოლის 24 საათიან წყალმომარაგებასთან ერთად მნიშვნელოვან ფაქტად დარჩება თერჯოლელთა ცხოვრებაში.

დ. კლდიაშვილი

„ვირჩევ პროფესიას“

პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება

მოღრუბლული დილა გათენდა. წვიმის მოლოდინი უსიამოვნო განწყობას ქმნიდა, მაგრამ გამოიდარა და „შეზავებული“ ამინდი დადგა, რამაც ხელი შეუწყო ისედაც ამაღლებულ განწყობილებას.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის პროექტის „ვირჩევ პროფესიას“ ბოლო აქტივობაზე, რომელიც ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში 2025 წლის 14 ივნისს გაიმართა.

სასიამოვნო „არეულობით“ დაიწყო დილა. მუნიციპალიტეტის სკოლების წარმომადგენლობა-დირექტორ-მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლებიც კი თანდათან შემოდიოდნენ და კუთვნილ „პავილიონებს“ იკავებდნენ სკვერში. შემოდიოდნენ და მოჰქონდათ „ათასგვარი“ ნივთ-ჭურჭელი, ჩასაცმელები, ეროვნული დროშები, ყველაფერი, რაც თვითოეულ სკოლას ჭირდებოდა პროექტის დასკვნითი ეტაპის განსახორციელებლად. ამასობაში ემატებოდა ხალხი ხალხს და გაივსო სკვერი, კუთხე-პავილიონების მოწყობაც დამთავრდა და „ამფითეატრშიც“ ყველაფერი მზად იყო.

პავილიონი №1

პავილიონი №2

პავილიონი №3

პავილიონი №4

პავილიონი №5

პავილიონი №6

ღონისძიება რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ამ და სხვა მრავალი პროექტის განხორციელების ორგანიზატორმა და სულისჩამდგმელმა ქალბატონმა ქეთევან შეყრილაძემ გახსნა.

მან თქვა: **„ეს დღეც დადგა. რესურსცენტრის მიერ ორგანიზებული კიდევ ერთი პროექტი დავასრულეთ. პროექტი, რომელიც თითქმის მთელი სასწავლო წელი გაგრძელდა და მოღვაწეობის თითქმის ყველა სფერო მოიცვა. „ვირჩევ პროფესიას“... ადამიანისათვის ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო არჩევანია, რადგან მთელი შემდგომი ყოფა-ცხოვრების განმსაზღვრელია. ბევრია დამოკიდებული იმაზე, რომ სწორ დროს სწორ ადგილზე მოვხვდეთ, რათა შევძლოთ მთლიანად დავიხარჯოთ, სანთელივით დავიწვათ და ამით არა მარტო თვითრეალიზება მოვახდინოთ, არამედ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისთვისაც დავდოთ თითო აგური.**

„ვირჩევ პროფესიას“... იმისათვის რომ აირჩიო, უნდა იცოდე, უნდა იცნობდე თითოეულ სფეროს, ამ სფეროში შემავალ პროფესიებს, მიღწევებსა და შესაძლებლობებს, სარგებლიანობასა და შედეგიანობას.

სწორედ ამას ემსახურებოდა პროექტი და მასში შემავალი ყოველი აქტივობა, რომელმაც მოიცვა არა მარტო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები, არამედ მშობლებიც“.

სამადლობელი

ქალბატონმა ქეთევანმა მადლობა გადაუხადა პროექტის განხორციელებაში მხარდამჭერებს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას, ბატონ მანუჩარ რობაქიძის ხელმძღვანელობით, საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გია ბარათაშვილს, მოადგილეებს და დეპუტატებს, ლიბერთი ბანკს, არა მარტო ფინანსური დახმარებისათვის არამედ ტრადიციულად ყველა წამოწყებაში თანადგომისათვის. არ გამორჩენია გაზეთ „თერჯოლის“ გვერდით დგომა, სამადლობელი არ დაიშურა კომისიის წევრების, სკოლების დირექტორების, პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლებისადმი. ხაზი გაუსვა მათ აქტიურობასა და ჩართულობას, რამაც ხელი შეუწყო პროექტის წარმატებით განხორციელებას.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

პრეზენტაციების კონკურსი (რომელიც ემსახურებოდა ამა თუ იმ სფეროს, მასში შემავალი პროფესიებისა და პროფესიონალების, მათი მიღწევების გაცნობას მსოფლიო და ქართულ სინამდვილეში), ხატვის კონკურსი ორ ასაკობრივ ჯგუფში, კალიგრაფიის კონკურსი ოთხ ასაკობრივ ჯგუფში და პედაგოგებში, ესეების კონკურსი უფროსკლასელებისა და პედაგოგებისათვის, მინი კონფერენცია პედაგოგებისათვის, მხატვრული კითხვის საღამო, ინტელექტუალთა კონკურსი (მოსწავლეები და მშობლები), ღია გაკვეთილები სხვადასხვა საგნებში.

დასკვნითი აქტივობა

ქალბატონმა ქეთევანმა სპეციალურად მოწყობილ პავილიონებში დასკვნით აქტივობაზე მიიწვია სკვერში შეკრებილი ხალხი: „აქ სკოლები კიდევ ერთხელ გაგვაცნობენ თითოეულ სფეროს, ამ სფეროში შემავალ პროფესიებს, მიღწევებსა და შესაძლებლობებს, სარგებლიანობასა და შედეგიანობას და დაგვაფიქრებენ თუ რატომ უნდა ავირჩიოთ ესა თუ ის პროფესია და გავაკეთეთ თუ არა თავის დროზე სწორი არჩევანი“.

როგორ და რატომ იყვნენ დაწყვილებული სკოლები

იმის გამო, რომ ერთი პროექტი ყველა სფეროს და პროფესიას ვერ მოიცავდა, არჩევანი 12 პროფესიაზე იქნა შეჩერებული. პროფესიები კენჭისყრით განაწილდა. ქალბატონი ქეთევანის თქმით—**„სკოლების დაწყვილებას ჰქონდა მიზეზიც და მიზანიც—ცოდნის გაზიარება და გაღრმავება, რესურსების გაერთიანება, თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის, პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარება და გაუმჯობესება, მოტივაციის ამაღლება, სოციალური უნარების გაძლიერება, თვითშეფასების ამაღლება, პედაგოგების პროფესიული განვითარება, საზოგადოებრივი ჩართულობა და სხვა“.**

პავილიონებში

ბატონები: მანუჩარ რობაქიძე, ზვიად ბაზაძე, მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი, ჯემალ ისაკაძე, ქალბატონი მაკა ასათიანი, მერიისა და საკრებულოს სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, ყველა პავილიონში მივიდნენ, ბოლომდე უსმენდნენ პროგრამას, ქალბატონი ქეთევანის მიერ სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებულთა და სიგელების და ჯილდოების გადაცემას, კიდევ ერთხელ შეფასდა რესურსცენტრის მიერ გაწეული შრომა, სკოლების მაღალი ჩართულობა, ის ერთიანობა, რაც საგანმანათლებლო რესურსცენტრს, სკოლებსა და მოსწავლეებს, მათ მშობლებს შორის არსებობს, რომ ყველაფერი ერთად და ყველაფერი ცალ-ცალკე სწავლა-სწავლების მაღალი მიღწევებისაკენ არის მიმართული... აქვე აღინიშნა პროექტის განხორციელებაში მრავალთა მონაწილის ჩართულობა, რისთვისაც მათ მადლობა უთხრეს.

პავილიონი №1

პროფესია—თავდაცვა და უსაფრთხოება (ალისუბნის №1 და ქვ. სიმონეთის №1 საჯარო სკოლები). სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულია ალისუბნის №1 საჯარო სკოლის 4 წარმომადგენელი. პედაგოგები: ინგა გაბრიჭიძე, ანა ჭანტურიძე—მინი კონფერენცია. მოსწავლეები: ლიზი მარუაშვილი, ბარბარე მარუაშვილი—კალიგრაფია. ქვ. სიმონეთის №1 საჯარო სკოლის 3 წარმომადგენელი: დირექტორი ნათია აბულაძე, პედაგოგები: ია ცერცვაძე, ხათუნა გვენეტაძე—ღია გაკვეთილი.

პავილიონი №2

პროფესია—ტურიზმი (ნაგარევის და ჩხარის №1 საჯარო სკოლები).

გამარჯვებულია ნაგარევის საჯარო სკოლის 4 წარმომადგენელი. პედაგოგები: ნინო ამბროლაძე, თეონა წერეთელი, ღია გაკვეთილი. პედაგოგი სოფიო შავგულიძე—მინი კონფერენცია. მოსწავლე ჯემალ მარგველაშვილი—პრეზენტაცია. ჩხარის №1 საჯარო სკოლის 3 წარმომადგენელი: პედაგოგები ნათია ქურცაძე, ირმა ბაჭვაძე მინი კონფერენცია. მოსწავლე მარიამ ყვავაძე—კალიგრაფია.

პავილიონი №3

პროფესია—არქეოლოგია (გოდოგნისა და ეწრის საჯარო სკოლები). სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებულია გოდოგნის საჯარო სკოლის 3 წარმომადგენელი. სკოლის დირექტორი შორენა აბესაძე, პედაგოგი ნინო ამბროლაძე—მინი კონფერენცია და ღია გაკვეთილი. მოსწავლე მარიამ გვადიბაძე—ხატვა. ეწრის საჯარო სკოლის 6 წარმომადგენელი: პედაგოგი ხათუნა კლდიაშვილი—კალიგრაფია, პედაგოგი თეონა გიორგაძე—მხატვრული კითხვა, პედაგოგი სოფიო ცეცხლაძე—მინი კონფერენცია და ღია გაკვეთილი.

პავილიონი №4

პროფესია სოფლის მეურნეობა (ალისუბნის №2, სიმონეთის №2, ჩხარის №2 საჯარო სკოლები). სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულია ალისუბნის №2 საჯარო სკოლის 2 წარმომადგენელი. პედაგოგი ნინო გვენეტაძე—მინი კონფერენცია. მოსწავლე ალექსანდრე ზარნაძე—კალიგრაფია. სიმონეთის №2 საჯარო სკოლის 2 წარმომადგენელი და ინტელექტუალთა გუნდი „DNT“ მოსწავლე დარეჯან ნიკოლაძე—კალიგრაფია. მოსწავლე ნინო ჯიშიაშვილი—მხატვრული კითხვა.

„DNT“-ს მოსწავლეები (ნიკოლოზ ხოხიაშვილი, თენგიზ აბულაძე, დარეჯან ნიკოლაძე, მშობლები თეიმურაზ ჭეიშვილი, გელა ხოხიაშვილი).

☞7

„ვირჩევ პროფესიას“

6 ☞

პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება

ჩხარის №2 საჯარო სკოლის 1 წარმომადგენელი. პედაგოგი ნელი ჭანკვეტაძე—ღია გაკვეთილი.

პავილიონი №5

პროფესია არქიტექტურა (თუზისა და ღვანკითის საჯარო სკოლები). სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულია თუზის საჯარო სკოლის 3 წარმომადგენელი: პედაგოგი ნატო ქვათაძე—ესე. პედაგოგი ნინო მიხელიძე—ღია გაკვეთილი, პედაგოგი თამარ გოგბერაშვილი—მინი კონფერენცია. ღვანკითის საჯარო სკოლის 6 წარმომადგენელი: დირექტორი ინგა ჯალიაშვილი, პედაგოგი დარეჯან ჭანტურიძე—მინი კონფერენცია. პედაგოგი თეა რიჟამაძე—ღია გაკვეთილი, მოსწავლე ბარბარე ქურცაძე—კალიგრაფია.

პავილიონი №6

პროფესია მედიცინა. (ახალთერჯოლის და ზედა სიმონეთის საჯარო სკოლები). სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულია ახალთერჯოლის საჯარო სკოლის 2 წარმომადგენელი: პედაგოგი მელანო გაბეხაძე—მინი კონფერენცია, ღია გაკვეთილი და მხატვრული კითხვა. პედაგოგი მაკა ჭანტურიძე—კალიგრაფია. ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის 3 წარმომადგენელი. პედაგოგი ირინა აბულაძე—მინი კონფერენცია, მოსწავლე მარიამ ბარდაველიძე—პრეზენტაცია. მოსწავლე ლიზი აბჟანდაძე—კალიგრაფია.

პავილიონი №7

პროფესია—ეკონომიკა და ბიზნესი (თერჯოლის №1 და №2 საჯარო სკოლები). სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულია თერჯოლის №1 საჯარო სკოლის 5 წარმომადგენელი და ინტელექტუალთა გუნდი „ფენიქსი“. პედაგოგი ნატო კვეტენაძე—მინი კონფერენცია. პედაგოგები: უჩა გვენეტაძე, მაია ბარათაშვილი-ღია გაკვეთილი. მოსწავლე მარიამ უფლისაშვილი—ესე. მოსწავლე ბარბარე ნიკოლაძე—პრეზენტაცია. „ფენიქსი“ მოსწავლეები: მარიამ უფლისაშვილი, დათა მაკარიძე, ქრისტინე რობაქიძე. მშობლები: მელანია მაკარიძე, ანა გოგიაშვილი). თერჯოლის №2 საჯარო სკოლის 9 წარმომადგენელი. პედაგოგი თეა რიჟამაძე—მინი კონფერენცია. პედაგოგები: მაია ცხელიშვილი, დარეჯან ღიბრაძე—ღია გაკვეთილი, მოსწავლეები: ლაზარე ქარქაშაძე, ანანო ქოჩიაშვილი—კალიგრაფია. მოსწავლე რუსუდან კუპაშვილი—მხატვრული კითხვა. მოსწავლეები: ვანო ძოწენიძე, ნიტა კირკიტაძე, ბარბარე მარუაშვილი—ხატვა.

პავილიონი №8

პროფესია—კულტურა (კვახჭირისა და ძევრის საჯარო სკოლები). სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულია კვახჭირის სკოლის 2 წარმომადგენელი. პედაგოგი თამარ შანიძე—მინი კონფერენცია. მოსწავლე მართა ტყეშელიაძე—ხატვა. ძევრის საჯარო სკოლის 3 წარმომადგენელი: პედაგოგი მარუსა ბერუაშვილი—კალიგრაფია. მოსწავლეები: ალექსანდრე გუგუშვილი, გაბრიელ მეფარიძე—მხატვრული კითხვა.

პავილიონი №9

პროფესია—იურისპუდენცია (გოგნისა და სიქთარვის საჯარო სკოლები). სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულია გოგნის საჯარო სკოლის 3 წარმომადგენელი. პედაგოგები: ნინო გოგინაშვილი, ანა რობაქიძე—ღია გაკვეთილი. პედაგოგი დარეჯან ჭანტურიძე—მხატვრული კითხვა. სიქთარვის საჯარო სკოლის 8 წარმომადგენელი. დირექტორი ია კვატაია—მინი კონფერენცია. პედაგოგები: შორენა კახიძე, ანა ტაბატაძე—მინი კონფერენცია. პედაგოგი: ნინო გვენეტაძე—კალიგრაფია. მოსწავლე: გიგა კვატაია—კალიგრაფია. მოსწავლე ანასტასია რობაქიძე—ხატვა. მოსწავლეები: გიორგი ბაბუაძე, ნოდარ კახიძე—პრეზენტაცია.

პავილიონი №10

პროფესია—განათლება და მეცნიერება (ბარდუბნის და რუფოთის საჯარო სკოლები). სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულია ბარდუბნის საჯარო სკოლის 1 წარმომადგენელი. პედაგოგი მაია ნიკოლაძე—ღია გაკვეთილი. რუფოთის საჯარო სკოლის 3 წარმომადგენელი. პედაგოგები: მაია დოლაკიძე, ნათია გოგისვანიძე—ღია გაკვეთილი. მოსწავლე ლილე გოგბერაშვილი—პრეზენტაცია.

პავილიონი №11

პროფესია—დიპლომატია (ზედა საზანოსა და ნახშირღელის საჯარო სკოლები). სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულია ზედა საზანოს საჯარო სკოლის 3 წარმომადგენელი და ინტელექტუალთა გუნდი „საზრიანები“. პედაგოგი მადონა ჭანტურიძე—ღია გაკვეთილი. მოსწავლე ნია მექვაბიძე—მხატვრული კითხვა. მოსწავლე ქრისტინე ჭანტურიძე—კალიგრაფია. „საზრიანები“—მოსწავლეები: მარიამ ბერუაშვილი, დათო მეგრელიშვილი, ილია გამსახურდაშვილი. მშობლები: ბადრი ჭანტურიძე, ნიკოლოზ ბუცხრიკიძე. ნახშირღელის საჯარო სკოლის 7 წარმომადგენელი პედაგოგი მაია მელუავა—მინი კონფერენცია. პედაგოგები: შორენა მუმლაძე, ნატო მიქაბერიძე—ღია გაკვეთილი. მოსწავლეები: მარიამ ნიკოლაძე, ელენე ლანჩავა—კალიგრაფია. მოსწავლე თეკლა სულამანიძე—პრეზენტაცია. მოსწავლე ნინი მსხილაძე—ესე.

პავილიონი №12

პროფესია სპორტი (ჭოგნარის საჯარო სკოლა და შპს სკოლა „მზეკაბანი 2007“. სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულია ჭოგნარის საჯარო სკოლის 5 წარმომადგენელი. დირექტორი ინგა ხუჯაძე ღია გაკვეთილი. პედაგოგი ნინო კვიმსაძე ღია გაკვეთილი, პედაგოგი ნინო ფერაძე—მინი კონფერენცია. მოსწავლე ანი ბარდაველიძე—კალიგრაფია. მოსწავლე ილია გვენეტაძე—პრეზენტაცია. „მზეკაბანი 2007“-ის 3 წარმომადგენელი. პედაგოგი თეა დოლაკიძე—მინი კონფერენცია (მზეკაბანის, ეწრის, რუფოთის სკოლების სახელით), პედაგოგები: ბადრი რობაქიძე, ზურაბ ბარბაქაძე—ღია გაკვეთილი.

სამახსოვრო კალენდარი „ვირჩევ პროფესიას“

კალენდარში მოხვდა: ნინი ვაშაყმაძის (კვახჭირის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე), მარიამ ქურცაძის (ღვანკითის საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლე), ნინი ღიბრაძის (თუზის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე), ანასტასია რობაქიძის (სიქთარვის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე), მართა ტყეშელიაძის (კვახჭირის საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე), ილია გამსახურდაშვილის (ზედა საზანოს საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე), ვანო ძოწენიძის (თერჯოლის №2 საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე), ნიტა კირკიტაძის (თერჯოლის №2 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე), ლიზი ფანჩულიძის (ჩხარის №1 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე), მარიამ გაბადაძე (გოდოგნის საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე), მარიამ ყიფიანი (კერძო სკოლა მზეკაბანის“ VI კლასის მოსწავლე), ილია ამბროლაძე-სოკოლოვი (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა).

გარეკანი გააფორმა: ბარბარე მარუაშვილმა (თერჯოლის №2 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე). კალენდრის ბოლო გვერდი კი ნატა კენჭოშვილმა (ეწრის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე).

სამახსოვრო კალენდრები დაურიგდათ სკოლებს, მოწვეულ სტუმრებს.

შეჯამება

ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ პირველად, პირველ „პავილიონში“ პროფესია—თავდაცვა და უსაფრთხოება იქნა წარმოდგენილი, ხოლო მე-12, ბოლო აქტივობა იყო სპორტი—ყველაფრის გამაერთიანებელი. აქ, „ამფითეატრში“ შეჯამდა არა მარტო პროექტის ბოლო დღე, არამედ მთლიანად პროექტი. ქალბატონმა ქეთევანმა მადლობა გადაუხადა პროექტში ჩართულ ყველა სხვა მონაწილეს.

კვლავ თქვა, ახლა უკვე შემაჯამებელი, მოკლე სიტყვა ბატონმა მანუჩარმა. მაღალ დონეზე შეაფასა ეს და სხვა, უკვე განხორციელებული პროექტები, მთლიანად რესურსცენტრის მიერ გაწეული საქმიანობა, ხაზი გაუსვა პროექტში სკოლების მაღალ ჩართულობას. თავის მხრივ საჯარო სკოლების დირექტორებმა მადლობა გადაუხადეს ბატონ მანუჩარს, მან კი პირიქით—მადლობა თქვენ-ო.

სიტყვით გამოვიდა მოწვეული სტუმარი, იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე რეზო რობაქიძე, მაღალი შეფასება მისცა დღის ღონისძიებას და სპორტის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ქალბატონმა ქეთევანმა ბატონ რეზოს სამახსოვრო კალენდარი გადასცა, ბატონმა რეზომ კი ოლიმპიური სიმბოლოები და ოლიმპიური ლიტერატურა მრავლად გასცა.

მობრძანდა მამა ქრისტეფორე, მან დალოცა თერჯოლა, თერჯოლელები, სრულიად საქართველო და მშვიდობა ისურვა.

პროექტი დამთავრდა, პროექტი იწყება

და იყო პროექტის „ტკბილი“ დასასრული, ერთად ყოფნა და „ათასი მოფერება“, სურვილები. პროექტი „ვირჩევ პროფესიას“ დამთავრდა. ახალზე ფიქრიც დაწყებულია და ზოგიერთი დეტალი გათვლილი. „თქვენ ისურვეთ, მე არც პროექტს მოგაკლებთ და არც მხარდაჭერასო“— თქვა ქალბატონმა ქეთევანმა.

ჟუჟუნა ცხადაძე

პავილიონი №7

პავილიონი №8

პავილიონი №9

პავილიონი №10

პავილიონი №11

პავილიონი №12

კუბლაშვილების გვარის მორიგი გაბრწყინება, ამჯერად მსოფლიო მათემატიკურ ორბიტაზე!

თერჯოლელი კუბლაშვილების თაობაზე, ამ გვარისშვილების განსაკუთრებულ ვოკალურ მონაცემებზე, არაერთხელ გვსმენია. პირადადაც ბევრჯერ დავმტკბარვართ და აღვფრთოვანებულვართ...

გვინდა ამჯერად ბატონ მურმან კუბლაშვილზე, იმ ადამიანის შესახებ მოგითხროთ, რომლის მეცნიერულმა ნააზრევმა და სახელმა ამჯერად მსოფლიო მათემატიკური სკოლის კაბადონზე გაიბრწყინა „სინგულარული ინტეგრალური განტოლებების“ რიცხვითი ამოხსნის მიმართულებით, რომელთა გამოყენება უმნიშვნელოვანესია მექანიკის (აეროდინამიკის, რღვევის თეორიის, დრეკადობის თეორიის, ელექტრონიკის და სხვ.) პრაქტიკულ ამოცანებში.

მკითხველს „ვაცნობებთ, რომ „სინგულარული ინტეგრალური განტოლებები“ ურთულესი მეცნიერული კვლევის ის მიმართულებაა მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები, ქართული მათემატიკური სკოლის ფუძემდებლები, აკადემიკოსები ნიკო მუსხელიშვილი და ილია ვეკუა, რომ მუშაობდნენ.



აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, მსოფლიოში ერთ-ერთმა ცნობილმა გამომცემლობამ „ჯენერის პაბლიშინგ“ (აშშ) გამოსცა მისი მონოგრაფია, რომლის მსოფლიო გაყიდვებიდან გამომცემლობასთან დადებული ხელშეკრულებით ავტორი შესაბამის შემოსავლებს მიიღებს.

მურმან კუბლაშვილი—დაიბადა 1953 წლის 9 მარტს, თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკითში. 1970 წელს წარჩინებით დაამთავრა სოფელ ღვანკითის საშუალო სკოლა. ასევე წარჩინებით დაამთავრა 1975 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი. 1975-1978 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ასპირანტურაში. 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 2004 წელს კი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო ჟურნალებში. არის 10 სახელმძღვანელოს ავტორი. ხუთჯერ აქვს აღებული რუსთაველის ფონდის გრანტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის გრანტი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 25-ზე მეტი სამაგისტრო და სადოქტორო სამეცნიერო შრომა. 2007 წელს

აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრად.

2008-2014 წლებში იყო სამშენებლო ფაკულტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი. არის სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალ „მშენებლობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

1975 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში გამოთვლითი მეთოდების განყოფილებაში მთავარ მეცნიერ მუშაკად.

2004 წლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების №106 დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი.

ჰყავს მეუღლე მაია ქოჩიაშვილი და შვილი ანა კუბლაშვილი.

სამწუხაროდ ერთადერთი ვაჟიშვილი, მირიან კუბლაშვილი, ასევე ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, იყო დოქტორი და პროფესორი. მირიანი სრულიად ახალგაზრდა ასაკში, 38 წლისა გარდაიცვალა გასული წლის სექტემბერში, რასაც კიდევ ერთხელ დიდი მწუხარებით ვუსამძიმრებთ კუბლაშვილების ოჯახს, გარდაცვლილის მეუღლესა და მის შვილებს.

* * *

მურმან კუბლაშვილის მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს თავად ბატონი მურმანი. **„საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც ჯერ კიდევ 1984 წელს დავიცავი, სწორედ ჩვენი სახელმოხვეჭილი მათემატიკოსების—ნიკო მუსხელიშვილისა და ილია ვეკუას კვლევის თემატიკისა იყო. შემდეგ, 2004 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ბზარების მქონე სხეულების დაძაბულ-დეფორმაციული და რღვევის პროცესების კვლევის მეთოდების დამუშავება „სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდის გამოყენებით“.** ამ საკითხებზე გამოვეცი მონოგრაფია 2025 წელს სათაურით: „სინგულარულ ინტეგრალური განტოლებების რიცხვითი ამოხსნები და მათი ზოგიერთი გამოყენება“, რომელშიც ამოხსნილი მაქვს ნ. მუსხელიშვილის და ი. ვეკუას ცნობილი პრობლემები. აღნიშნული მონოგრაფია ინგლისურ ენაზე თავისი ხარჯებით გამოსცა ცნობილმა გამომცემლობამ Generis Publishing (www.generis-publishigd.com) აშშ-ში. მონოგრაფია ჩემთან ხელშეკრულების საფუძველზე განთავსებულია ინტერნეტ სივრცეში მსოფლიო მასშტაბით გასაყიდად.





დ. შალიკაშვილი

საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2025“

თეატრალური ფესტივალის გრანპრი თერჯოლის სახალხო თეატრმა მოიპოვა! ვულოცავთ!

2☞

ნომინაცია - საუკეთესო რეჟისურა -„კაცია ადამიანი" რეჟისორი ლაშა ლომჯარია (ვანის სახალხო თეატრი)

ნომინაცია - საუკეთესო სცენოგრაფია - „სან ნიკოლას პიაცა" (სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრი) ნომინაცია - საუკეთესო მუსიკალური გაფორმება - ბეგი ნიკოლეიშვილი „მეტამორფოზა" (საჩხერის სახალხო თეატრი)

ნომინაცია - ქალის მთავარი როლი - ირინე ჩხეიძე „მშვიდობით თემურ!" (ხარგაულის სახალხო თეატრი).

ნომინაცია - მამაკაცის მთავარი როლი ვასილ კიკნაძე „მშვიდობით თემურ!" (ხარგაულის სახალხო თეატრი).

ნომინაცია - ქალის ეპიზოდური როლი - ელენე ბობოხიძე „გაიღიმე ჩიტი გამოფრინდება" (ხონის სახალხო თეატრი).

საუკეთესო მამაკაცის ეპიზოდური როლი-ზურაბ ყურაშვილი „გაიღიმე საქართველო" (წყალტუბოს სახალხო თეატრი).

საუკეთესო ახალგაზრდა ქალი მსახიობი - გურანდა ბარბაქაძე „ზღაპარი რუსთაველის ქ.N1-ში" (ტყიბულის მუნიციპალური თეატრი).

საუკეთესო ახალგაზრდა მამაკაცი მსახიობი -გიორგი ჭაფოძე „ათვინიერებენ მიმინოს" (ბაღდათის სახალხო თეატრი).

ნომინაცია - საუკეთესო ქორეოგრაფია - (საჩხერის სახალხო თეატრი) „მეტამორფოზა" .

ნომინაცია ჟიურის სპეციალური პრიზი- (ქუთაისის ერემია სვანაძის სახელობის დამოუკიდებელი დასი) „ემიგრანტები".

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის ინიციატივით, ქართული თეატრის მხარდაჭერისთვის „ქომაგის“ წოდებები გადაეცა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულს და 12-ვე მუნიციპალიტეტის მერს.

გაზეთ „თერჯოლას“ ხელმომწერთა და საქმიან პარტნიორთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის ივნისის თვიდან შპს „თერჯოლა“ გადავიდა სახაზინო მომსახურებაზე.

გთხოვთ აღნიშნული გაითვალისწინოთ ჩვენთან ანგარიშსწორების დროს.

ჩვენი რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა RESGE22
ანგარიში
8 2633 7499
ს/კ 231948872

გაზეთი „თერჯოლა“

ნორჩ ხელოვანთა სასწავლო წლის შემაჯამებელ გამოფენაზე

სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის შემაჯამებელი გამოფენა მრავალრიცხოვან დამთვალიერებელთა წინაშე გახსნა სკოლის დირექტორმა ქალბატონმა თამარ ღარიბაშვილმა.

„მოგესალმებით ყველას, მადლობას გეტყვით, რომ გამონახეთ დრო და ამით მხარდაჭერას უცხადებთ ჩვენი სკოლის აღსაზრდელებს, რომლებიც თავიანთ მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამენ ხელოვნების ამ უმშვენიერესი დარგის გაცნობა-დაუფლების გზაზე. თქვენი შეფასება, თქვენი თანადგომა მათთვის დიდი სტიმულია...

განსაკუთრებული მადლობა თქვენ, ბავშვებო, რომ ხართ ასეთი ნიჭიერები. ბევრი რაიონი იამაყებდა თქვენი მსგავსი ბავშვებით და ხატვის სიყვარულით, როგორ სიყვარულით ეფერებით ფერებსა და თითოეულ მონახაზს. გამორჩეულები ხართ. ეს გამოფენაც არის ამის დასტური“...

თქვენ ხედავთ, აღნიშნა თამარმა, რომ თითოეულმა აღსაზრდელმა განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით, ლამაზ ფერებში შესრულებული ნამუშევარი წარმოადგინა გამოფენაზე, თქვენ აქ ნახავთ ფერწერის, გრაფიკის, აბსტრაქციის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს, აგრეთვე წარმოდგენილია პეიზაჟები, ნატურმორტები და ამ გამოფენაზე პირველად ჩხირებით შედგენილი კომპოზიციები.

თამარი დამთვალიერებლთა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს მარიამ ბარდაველიძის მიერ გამოფენისათვის მომზადებულ არქიტექტურულ ნაკეთობას, რომელიც სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მაკეტს წარმოადგენს. ყველაფერი დაკონკრეტებულია და ადვილად ასახსნელი, როგორც გარე, ასევე შიდა სივრცე—მისაღები, სამზარეულო, ოთახები და ყველა საჭირო კუთხე სათანადო ინვენტარისა და ავეჯის განლაგებით. მარიამს, რომლის ნიჭიერება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა მანუჩარმა გასულ წელს აღმოაჩინა და სამხატვრო სკოლაც მისთვის ხელმისაწვდომი გახადა, წარმოდგენილ მაკეტზე 7 თვე უმუშავნია და დიზაინერობაზე მეოცნებე ბე გოგონამ, არაჩვეულებრივი არქიტექტურული მონაცემებიც გამოამჟღავნა. ქალბატონმა თამარმა კმაყოფილებით ისაუბრა აგრეთვე გიორგი ერმოლენკოს ნიჭიერების განსაკუთრებულობაზე, აღნიშნა, რომ გიორგის თავისი არაჩვეულებრივი სამყარო აქვს, სადაც შევყავართ ჩვენც და გვაოცებს ჩანაფიქრით, შესრულებით, გასაფრთხილებელია და განსაკუთრებით შესწავლის საგანია მისი თითოეული ნამუშევარი.

სამხატვრო სკოლაში თაობები მოდიან და მიდიან, განსაკუთრებული ნიჭიერებით და თავდადებით გამორჩეული სრული კურსის დამთავრების შემდეგ სკოლას სათანადო მოწმობებით ტოვებენ. თამარმა შეკრებილებს წარუდგინა ამ სასწავლო წლის ოთხი კურსდამთავრებული, რომლებიც სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელებენ. მათ შორის ისევ იქნება არქიტექტურის თუ დიზაინის განხრით სწავლის გაგრძელების მსურველი. ეს ფაქტი ეამაყება სკოლას, რადგან თერჯოლის სამხატვრო სკოლას, უკვე იცნობენ ქვეყანაში, როგორც მომავალი არქიტექტორების, დიზაინერების და ა.შ. საბაზო სკოლას...

დგება მოწმობების გადაცემის წუთები. გოჩა ჩაფიძეს, შაკო დევიძეს, გიორგი ერმოლენკოსა და გურამ ასათიანს სკოლის დამთავრების მოწმობებს გადასცემენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი, საკრებულოს ვიცე სპიკერი, დეპუტატი ნინო ჩხიკვაძე.

„დღევანდელი დღე დიდი და მნიშვნელოვანია ამ ახალგაზრდებისათვის. ხართ არაჩვეულებრივი, ნიჭიერი, შემოქმედებითი და იმედია საუკეთესო მომავალს შეგიქმნით აქ მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები—აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, მინდა მადლობა გადაგიხადოთ თითოეულს, ამ ბავშვებს არა-ერთხელ გავუოცებივართ თავიანთი ნიჭიერებით, მჯერა და მიხარია, რომ ესენი გამოადგებიან და ასახელებენ ჩვენს რაიონს და სრულიად საქართველოს.

მინდა მადლობა გადავუხადო ამ სკოლას, მის პედკოლექტივს თავდადებული შემოქმედებითი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის“.

სკოლის დირექტორმა ქალბატონმა თამარმა მადლობა გადაუხადა გამოფენის მონაწილე მოსწავლეებს და აღნიშნა, რომ, „როცა თაობა მიდის გაქვს ერთგვარი სინანული, თუმცა მათ სიყვარულით ვულოცავთ გზას, და ფიქრობ, რა იქნება შემდეგ? მერე მოდის ახალი თაობა და მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თერჯოლაში ძალიან ბევრი ხატვის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვია, ისევ გრძელდება ახალ-ახალ სახელთა და ნიჭიერთა გამოვლენა, ისევ გაოცებენ მოულოდნელობებით და ერთი სიტყვით, ყოველთვის გვაქვს იმედი იმისა, რომ სამხატვრო სკოლა, მისი შესანიშნავი პედაგოგებით და ნიჭიერი მოსწავლეებით ტრადიციულად გააგრძელებენ ხელოვნების გზებზე აღმასვლას...

მადლობა რაიონის ხელმძღვანელობას ასეთი შესაძლებლობისათვის, მადლობა მშობლებს, მადლობა მოსწავლეებს და მადლობა საზოგადოებას მხარდაჭერისათვის. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დაგემშვიდობებით, შემდეგ კი ისევ დაგიბრუნდებით ჩვენს ნიჭიერ თერჯოლელ ახალგაზრდებთან ერთად“.

წარმატებები სკოლას და მის კურსდამთავრებულებს კი მისაღებ გამოცდებზე.

მზია ცქიფურიშვილი

სიყვარულით, მრავალფეროვნებით და სიურპრიზებით გალამაზებული დღე თერჯოლელ პატარებს

ასეთი იყო 1 ივნისი, ზაფხულის პირველი დღე, ანუ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე თერჯოლაში, ღვთიურ მადლად რომ დაჰყვება ნინოობის დღესასწაული...

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში 1950 წლიდან აღინიშნება, რომელიც 1925 წელს ბავშვთა კეთილდღეობისადმი მიძღვნილ კონგრესზე ჟენევაში დაფუძნდა. ამ დღის აღნიშვნა ბავშვთა უფლებების დაცვას, მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და დემოკრატიულ აღზრდა-განვითარებას ემსახურება...

ეს დღე კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვების კეთილდღეობა და მათი განვითარებისათვის ხელსაყრელი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, შეგვახსენებს ყველას, მოქალაქეებსაც და სახელმწიფოსაც, რომ ბავშვებისათვის ჯანდაცვაზე, განათლებაზე, უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოსა და მატერიალურ რესურსებზე წვდომა უნდა უზრუნველყონ. ამის გარეშე, ანუ მატერიალური და სოციალური დანაკლისის დროს ბავშვების განვითარება და ცხოვრების ხარისხი სერიოზული რისკის ქვეშ ექცევა და არაერთ მძიმე შედეგს წარმოშობს...

სტატისტიკა იმის შესახებ თუ როგორ პირობებში იზრდებიან ჩვენი პატარები, ქვეყნის მასშტაბით, მაინცდამაინც სახარბიელო არ არის, ვიტოვებთ იმედს, რომ მომავალში გაცილებით უკეთესი იქნება მათი ყოველდღიურობა, ანუ საჭიროებებზე გათვალისწინებული...

1 ივნისს განსაკუთრებული დღე ჰქონდა ჩვენს პატარებს ქვეყნის მასშტაბით. დაგეგმილი იყო მრავალი აქტივობა და კულტურული ღონისძიებები.

ასე იყო თერჯოლაშიც.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღნიშნეს საგანგებოდ მორთულ, გალამაზებულ საჯარო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა არაერთი ულამაზესი ღონისძიება მიეძღვნა სწორედ ქვეყნის მომავალი თაობისათვის ბედნიერი და მხიარული წუთების ჩუქებას. მრავლად იყო სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი აქტივობები.

ყველაზე მასშტაბური ღონისძიება კი ქალაქის ცენტრში, ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში გაიმართა, სადაც მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით მოეწყო ბავშვთა გასართობი სივრცე სპეციალურად ამ დღისათვის. სკვერის მიმდებარედ განლაგებული იყო მრავალფეროვანი ატრაქციონები—გასაბერი და სპორტული ბატუტი, ცხენების კარუსელი, მუსიკალური ჩაიდანის, ჰოკეის, აიწონას, ყვავილის და კალათბურის აპარატები, ეს ყველაფერი ბავშვებისათვის იყო საინტერესო და მიმზიდველი.

აქვე მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, იყო სახალისო ვიქტორინაც.

დილიდან მოჰყავდათ მშობლებს თავიანთი პატარები, რომლებიც დაუვიწყარ სიხარულს და სიამოვნებას იღებდნენ თითოეულ გასართობზე.

ამფითეატრის სცენა მთლიანად დაკავებული ჰქონდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის კლუბებისა და წრეების აღსაზრდელებს. ერთობლივი მრავალფეროვანი, გასართობი საკონცერტო პროგრამა მოიცავდა წმინდა ნინოს შემობრძანების მნიშვნელობას ჩვენს სამშობლოში, რომელიც ჩვენი ეროვნული დღესასწაულია და ამასთან მსოფლიოს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის მნიშვნელოვან დღესასწაულს...

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ულამაზესი სასიმღერო ნომრები: ცენტრის აღსაზრდელების თეონა ზაქარაშვილის, გეგა კირკიტაძის, სტუმარ გოგონას ლილე ოქრუაძის, პატარების მიერ „მკითხველთა კლუბიდან“ მზიარული ზღაპრის პერსონაჟების წარმოდგენა. ცეკვები: ბავშვთა უფლებების დაცვისა და ინგლისური ენის შემსწავლელი კლუბების, ქართული ენისა და კულინარიის შემსწავლელი კლუბების, „თვითმმართველობის დარბაზის“ აღსაზრდელთა მონაწილეობით, აგრეთვე იყო საყვარელი, პსტარა ფერიების ცეკვა მხატვრული კითხვის კლუბის „ნეკას“ შესრულებით, იყო აგრეთვე სტუმრის, პატარა ნუცა ოქრუაძის ლამაზი სამეჯლისო ცეკვა.

კონცერტი გააფერადა ხალხურ საკრავთა ანსამბლ „იმედის“ ულამაზესმა მელოდიებმა. გარდა კონცერტისა საინტერესო იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მიერ წარმოდგენილი კუთხეები: თექა, ქარგვა, ფოტო, რობოტექნიკა, ინტელექტუალური თამაში, სასურათე სივრცე. ღონისძიებას უძღვებოდნენ ივენთკლუბის მოსწავლეები: ლალო მაკარიძე და საბა გეწაძე.

ბავშვთა დაცვის დღის ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, მერის მოადგილეები: ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტის პირველმა პირებმა და მოსწავლეთა ცენტრის დირექტორმა დღესასწაული მიულოცეს ბავშვებს, მრავალი ბედნიერი დღე, წარმატებული მომავალი უსურვეს. ბავშვებთან, მათთან გასაუბრება-მოფერებით გატარებული დრო არის კიდევ ერთი კეთილი ნება იმისა, რომ ბავშვებს, ჩვენ მომავალ თაობას მეტი სითბო, სიყვარული და კეთილდღეობა შევთავაზოთ, რომ თითოეული ზნეკეთილ, წარმატებულ და ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლ მოქალაქეებად აღიზარდონ.

იყო სიურპრიზიც—მერია ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მოსულ ყველა ბავშვს ნაყინით გაუმასპინძლდა.

სიყვარულით და მრავალფეროვნებით გამორჩეულმა დღემ სიხარული აჩუქა ბავშვებსაც და უფროსებსაც.

მზია ცქიფურიშვილი

იმერეთის საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში

უთანრიგო, მე-5, მე-4 და მე-3 თანრიგოსან ჭაბუკთა და გოგონათა შორის ღია რეიტინგ ტურნირი „KUTAISI OPEN“-2025.
27 მაისი-3 ივნისი, ქ. ქუთაისი, 2025 წელი

ქ. ქუთაისში, იმერეთის მხარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით, მაია ჩიბურდანიძის სახელობის ჭადრაკის სკოლაში ჩატარდა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო

ტურნირი და ღია რეიტინგ ტურნირი ჭადრაკში. ტურნირი მიმდინარეობდა შვეიცარული სისტემით, რომელშიც მონაწილეობდნენ მოჭადრაკეები იმერეთის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან.

ტურნირში, სხვადასხვა და თითქმის ყველა კატეგორიაში მონაწილეობა მიიღო თერჯოლის ა(ა)იპ სპორტული სკოლის ჭადრაკის წრის 16 სპორტსმენმა (მწვრთნელი ეროვნული ოსტატობის კანდიდატი მერი ჩაფიჩაძე). მე-5 თანრიგოსან გოგონათა შორის, სადაც მონაწილეობას იღებდა 43 მონაწილე, მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა ბარბარე მაკარიძემ (თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლე). მან 7 შესაძლებლობიდან მოიპოვა 5,5 ქულა და გახდა მე-5 თანრიგოსანი.

მე-3 თანრიგოსან ჭაბუკთა შორის მე-4 ადგილი დაიკავა გაბრიელ გიორგაძემ (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა) და მოიპოვა მე-2 თანრიგის ნორმატივი. ასევე უთანრიგო, 8 წელს გადაცილებულ ჭაბუკთა შორის მე-5 თანრიგი მოიპოვა მათე მაკარიძემ (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა). მე-5 თანრიგოსან გოგონათა შორის მე-4 თანრიგოსანი გახდა მართა კუტალაძე (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა). მე-5 თანრიგოსან ჯაბუკთა შორის მე-4 თანრიგი მოიპოვა ჯემალ ბუსკივაძემ (ღვანკითის საკარო სკოლა). თანრიგის ნორმატივი მოიპოვა ანდრია აბესაძემ (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა).

6 წლამდე ჭაბუკთა შორის წარმატებით გამოვიდნენ ბაღის აღსაზრდელები. იოანე მემანიშვილი (ახალთერჯოლის ბაღი) და ლაზარე დალალიშვილი (თერჯოლის №1 ბაღი). აღსანიშნავია, რომ ბარბარე მაკარიძე მონაწილეობას მიიღებს ქ. ბათუმში მსოფლიო თასის ტურნირზე, რომელიც გაიმართება 22 ივნისიდან 13 ივლისამდე.

„მერაბ მეტრეველის მემორიალი—2025“ სწრაფად ჭადრაკში.
ქ. ქუთაისი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, 17-20 ივნისი

ეს ტურნირი სწრაფ ჭადრაკში, ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ორგანიზებით, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის ხელშეწყობით და ა(ა)იპ კულტურის სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების მხარდაჭერით ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობას ღებულობდა 165-მდე მოჭადრაკე სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან, მათ შორის თერჯოლის ა(ა)იპ სპორტული სკოლის 6 სპორტსცმენი (მწვრთნელი ეროვნული ოსტატობის კანდიდატი მერი ჩაფიჩაძე). ტურნირი ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით გაიმართა.

7 წლამდე ჭაბუკთა შორის, 5 წლის ყველაზე პატარა მონაწილემ იოანე მემანიშვილმა, რომელმაც 7 შესაძლებლობიდან დააგროვა 3 ქულა, დაიმსახურა დიპლომი აქტიური მონაწილეობისათვის.

ჩვენი მოჭადრაკე გოგონების მორიგი წარმატება

27 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით, ქალაქ ქუთაისში, გაიმართა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში, სადაც წარმატებით იასპარეზეს თერჯოლის სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა. „open ღია რეიტინგ ტურნირში“ ასაკი შეზღუდული არ ყოფილა. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ნინი წივწივაძემ.

რვა წელს გადაცილებულ გოგონათა შორის კი სამივე საპრიზო ადგილი თერჯოლის სპორტული სკოლის მოსწავლეებმა დაიკავეს. მესამე ადგილზე გავიდა ანასტასია ბუცხრიკიძე (ახალთერჯოლის საჯარო სკოლა), მეორე ადგილი დაიკავა მარიამ კლდიაშვილმა (ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა), ტურნირის ჩემპიონი კი გახდა ქრისტინე ქათამაძე (საზანოს საჯარო სკოლა).

ვულოცავთ ჩვენს მოჭადრაკე გოგონებს და მათ მწვრთნელს, ეროვნული ოსტატობის კანდიდატ გია ჭუმბურიძეს წარმატებებს და მომავალში ვუსურვებთ ახალი საჭადრაკო სიმაღლეების დაპყრობას!

„თერჯოლა“

ნიკოლოზ გოგიაშვილი
გამოსათხოვარი

მალე ორმოცი დღე გახდება ნიკოლოზ გოგიაშვილის (ბიქტორიჩი) გარდაცვალებიდან. მისი ცადამაღლებული სული უფლის წიაღში დაიდებს ბინას. მის მშვენიერ ოჯახს, მეგობრებს არა მარტო ქუთაისსა და თერჯოლაში, არამედ საქართველოს მრავალ კუთხეში დიდხანს გაჰყვება ტკივილი, დარდი და ბევრი ცრემლი დაეცემა მის საფლავს სათაყვანებელ ჭოგნარის მიწაზე.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი კარგი კაცი, კვალიფიციური იურისტი, შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის გამოცდილების მქონე, განათლებული, თავის საქმეში ღრმად ჩახედული, ოჯახის ბურჯი, მზრუნველი მეუღლე, მამა, ბაბუა.

ნიკოლოზ გოგიაშვილი 1946 წელს დაიბადა ჭოგნარში, იყო უმაღლესი იურიდიული განათლებით. 1969 წლიდან მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში. სხვადასხვა დროს იყო: ქ. თბილისის მილიციის იურიდიული სასწავლებლის მსმენელი (როგორც კვალიფიკაცია), ქუთაისის სახაზინო მილიციის განყოფილების ბავშვთა ოთახის ინსპექტორი, ტყიბულის სახაზინო საგუშაგოს უფროსი, სოცსაკუთრების, მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის უფროსი ინსპექტორი ტყიბულსა და ქუთაისში, ქუთაისის შს სამმართველოს სს სამძებრო განყოფილების უფროსი.

1981 წლიდან ნიკოლოზ გოგიაშვილი თერჯოლაშია. 1981-85 წწ. იყო თერჯოლის შს განყოფილების უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში, 1986-1990 წწ თერჯოლის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი.

თითქმის ათი წელი ემსახურა ბატონი ნიკოლოზი თავის რაიონს. თერჯოლამ შეიყვარა და დაიმეგობრა იგი, თავი დაამახსოვრა ხალხს, როგორც სამართლიანმა და საქმის მცოდნე, მთხოვნელთა მიმართ ყურადღებიანმა ხელმძღვანელმა. ამ წლებში თერჯოლის შს განყოფილება ერთ-ერთი მოწინავე იყო, რაც არაერთხელ თქმულა რაიკომის პლენუმისა და აქტივის კრებებზე, ბიუროს სხდომებზე, თვით ზემდგომი ორგანოების წარმომადგენლების მიერ.

1992 წლიდან ნიკოლოზ გოგიაშვილი კვლავ ქუთაისშია, ჯერ ქუთაისის სავიზო-საპასპორტო სამსახურში უფროსის მოადგილედ, ავტოქარხნისა და ნიკეას განყოფილების უფროსად, კადრების განყოფილების უფროსად... იგი იყო პოლიციის პოლკოვნიკი, მილიციის ფრიადოსანი, მრავალი მედლის მფლობელი.

2004 წლიდან პენსიაზე გავიდა და ოჯახში, შვილებით, შვილიშვილებით, სიძე-რძლებით გარემოსილი მშვიდად და ბედნიერად ატარებდა მოხუცებულობის წლებს.

სიმშვიდეში და ბედნიერებაში ხელს უწყობდნენ შვილები: თემური, თამაზი, თეა, შვილიშვილები: ნიკა, გიორგი, მარიამი, ნია, რამაზი, საბა და ღირსეული მეუღლე ქალბატონი მადონა, რომლის ყურადღება-მზრუნველობის ქვეშ იყო ოჯახის წევრები, საქმით მუდამ დატვირთულ ნიკოლოზს ეიმედებოდა მეუღლე, რძლები: სოფო ელიავა და ნონა გოგლიჩიძე, სიძე კობა ბაკურაძე.

ნიკოლოზ გოგიაშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს, მისი თერჯოლელი მეგობრების გულებში, ხშირად გაგვახსენდება მისი კურიოზები, მოყოლილი ამბები.

თერჯოლამაც დაიტირა ნიკოლოზი, ერთად და თავმოყრით ვერა, მაგრამ მაინც დავიტირეთ, ჩვენი ძველი მეგობარი. მთელი გზა იხსენებდნენ მის კურიოზებს ბატონები: დავით კლდიაშვილი, ავთანდილ ურიადმყოფელი, გოგი კაპანაძე, დათო ამირანაშვილი... ჩვენც მივალთ მის საფლავთან, სანთელსაც ავუნთებთ და ჭიქა ღვინოსაც დავღვრით... მაგრამ მაინც, ამ საფლავის მარადიული დარაჯი იქნება სასაფლაოს გარინდება და სიჩუმე...

მშვიდობით ძმაო და მეგობარო, მშვიდობა გქონდეს შენს მყუდრო ძილში...

თერჯოლელი მეგობრები

მანანა და დავით კლდიაშვილები მწუხარებაში თანაუგრძნობენ მალხაზ აბულაძეს დეიდაშვილის
ჯიმშერ აბულაძის
გარდაცვალების გამო.

მანანა და დავით კლდიაშვილები მწუხარებაში თანაუგრძნობენ ნონა და გივი აბულაძეებს დისა და ცოლისდის
სვეტა კუპრეიშვილის
გარდაცვალების გამო.

„გეკაფოთ რაც ულრანია, აგევსოთ რაც ხარვეზია“...

გალაკტიონი

წელსაც დიდი სურვილი გვქონდა, რომ ჩვენს გაზეთს ტრადიციული სამახსოვრო გაგვეკეთებინა ჩვენი საჯარო სკოლების 2025 წლის კურსდამთავრებულებისათვის...

ჯერ კიდევ ორი წლის წინ გადავწყვიტეთ, რომ გულწრფელ მილოცვასთან ერთად, კარგი იქნებოდა, თუ ყველა კურსდამთავრებულთა ჯგუფურ იმ სურათებსაც გამოვაქვეყნებდით, რომლებიც მათ ბოლო ზარის დღეს გადაიღეს... მაშინ ამ გადაწყვეტილებას კარგი რეზონანსი ჰქონდა...

ამჯერად გთავაზობთ თუზის, ახალთერჯოლის, ზედა სიმონეთის, საზანოს, რუფოთის და გოგნის საჯარო სკოლების წლევანდელ კურსდამთავრებულთა ფოტოებს.

წარმატებების გზით გევლოთ!..

„თერჯოლა“

თუზის საჯარო სკოლა

საზანოს საჯარო სკოლა

რუფოთის საჯარო სკოლა

ახალთერჯოლის საჯარო სკოლა

ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა

გოგნის საჯარო სკოლა

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა,კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი,ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
RESGE22
ანგარიში
8 2633 7499
ს/კ 231948872